ასპა თოფურიას ბიბლიო ტეკა

287 1 118

დასკანირებულია
16.01.2025

287 1 118

Главного Храма

„ახალი ქართული", 9/VIII-1980, №95

ლიტერატურული კუთხე

სამი ლექსი

თექვსმეტი წლის წინათ, გულით ავადმყოფობის პერიოდში, რადიო-გადაცემების ხშირი მოსმენისას, ჩემი ყურადღება მიიქცია ბათუმზე, ქუთაისზე და სოხუმზე შექმნილმა სიმღერებმა. ახლაც მხიბლავს ამ სიმღერების მოტივი. მათ ტექსტებში რაღაცნაირად თითოეული ამ ქალაქის კოლორიტული სახე გამოსჭვივის. ფოთზეც არსებობდა იმ ხანებში სიმღერა, მაგრამ რატომღაც ვიგრძენი, რომ მისი მომავალი მშვენება — მალთაყვა აუცილებლად უნდა შესულიყო სიმღერის ერთერთ კომპონენტად, როგორც თანამედროვე ფოთისათვის განსაკუთრებულად ნიშნეული.

აი, ამ იდეამ დროებით მაშინ კვლავ დამაბრუნა სიჭაბუკის დროინდელ პოეტურ გატაცებასთან. სიმღერისათვის მელოდიური მოტივის შექმნა ვთხოვე ცნობილ კომპოზიტორს შოთა ჯუჯუას, რომელმაც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, ფოთისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად, 1967 წელს მართლაც დაწერა მუსიკალური ნაწარმოები. იგი პირველად შეასრულა ფოთის კულტურის სახლთან არსებულმა ვოკალურმა ანსამბლმა არჩილ ხორავას ხელმძღვანელობით. კომპოზიტორ შოთა ჯუჯუასადმი მადლობის ნიშნად დღეს „ახალ კოლხეთში" ვაქვეყნებთ მისი ნაწარმოებისათვის ჩვენს მიერ დაწერილი ლექსის ტექსტს.

საქართველოს რადიოს მუსიკალურ გადაცემათა რედაქციამ არაერთხელ გადასცა ეს სიმღერა ეთერში. ფირი ტექსტის ავტორმა საჩუქრად ჩამოუტანა ქალაქ ფოთს 1971 წელს ფოთელებთან შეხვედრის დროს და ამჟამად ინახება ფოთის რადიოგადაცემათა რედაქციაში.

...და რაკი „ყინული გალხვა", ბარემ, ესეც იყოს მეოქე. ასე გაჩნდა მალთაყვაში სხვადასხვა დროს დაწერილი სამი ლექსი — ავტორის სამი უკანასკნელი ლირიკული აღსარება...

აკაკი თოფურია

სიმღერა ფოთზე

სადაც რიონს ზღვა იხუტებს
ლურჯ ტალღების ნარნარებით,
აქ ახალი გაჩნდა მხარე,
მოდი, გული გაიხარე,
ნახე, ფოთის ბაღნარები!

ეს ქალაქი, ძველთაძველი,
საქართველოს ჭიშკარია.
მის ახალ და ნათელ გზებზე
მედეას კვალს სანთლით ვეძებ,
დავდივარ და მიხარია!

ნავსადგურთან თეთრ თოლიას,
ვით პეპელას, გინდა სდიო...,
აქ გიტაცებს უველაფერი,
მაგრამ ზღვიდან მონაბერი
სულ სხვა არის მაინც სიო!

შენს სიყვარულს შეველევი,
ამ მალთაყვას კი ვერაო.
აშენდება, დამშვენდება,
მალე წალკოტი გახდება
ჩემი ფოთის რივერაო!

ეს ქალაქი, ძველთაძველი,
საქართველოს ჭიშკარია,
მის ახალ და ნათელ გზებზე
სიჭაბუკის ლანდებს ვეძებ,
დავდივარ და მიხარია!

1964 წ.

მალთაყვა.

ფიქრები მალთაყვაზე

მალთაყვის მზევ, ყოველ დილით,
როს სხივებს პფენ ველად,
უძლური და ფერმიხდილი,
შენგან ვითხოვ შველას.

გახსოვს, ჩემი დაღლილ გულის
ვაება და შიში?..
თითქოს გადნა ის ყინული,
თითქოს ახლად ვიშვი...

გამიქრება მალე დარდი,
მალე გავალ გზაზე.
კვლავ იხარებს ჩემი ვარდი
იმედებით სავსე...

თუ დავფარე შენი ვალი,
მაშინ მკითხე: — ვინ ხარ?
და აქ ჩემი ნატერფალი
შემინახე დიდხანს.

• • •

ეი, ტალღავ, წინ ნუ მისწრებ,
ნუ გადიქეც ჭარად.
პოგვერიძის კუნძულისკენ
გამაჭროლე ჩქარა.

ოო სიმშვიდე, ტკიური ვედრო,
მწვანე ფარჩით დადის
და ღამეულ ფერიებთან
სძინავს სატრფოს აჩრდილს.

მისი ლანდის ციური ხმები
ციურ გზებით მომდევს.
მივეპარო უნდა გემით
გალვიძების დრომდე.

1965 წ.

მალთაყვა.

ამოძახილი

(ეპიტაფია)

დასაბამიდან ასე იყო, ასე იქნება:
სიცოცხლე არის ქვეყნად ერთი გასეირნება.
წამით გაზომავ, წელთა რიცხვით თუ საუკუნეთ,
ბოლოს ეს ხვედრი არ აგცდება, ეს გზა — უკუნის.

ვის არ სწვევია, ვინ გაექცევა ამ ბედს საშინელს?!
მიცვალებულთა აჯანყებით ნურვინ გამშვიდებს.
რადგან ყოველ ჟამს მეორდება ასე წყენისად, —
იყავ მებრძოლი და ერთგული შენი რწმენისა.

ადამიანის სიმდიდრეა — იყოს კეთილი,
სულის დარბაზი ღია ჰქონდეს, არდაკეტილი.
მაგრამ მეგობრის შეცნობაში შენც ნუ შეცდები,
მაღლის მოხვეჭას ცბიერებით ნუ შეეცდები.

მიმოიხედე, რამდენია საფლავის ქვები,
ძვლებად შთენილნი აქ დაკრძალეს უსაზღვრო ქებით.
მერე უეცრივ დაივიწყეს, როგორც ცხოველნი
და უკვდავება არ ეღირსათ სვეტიცხოველის.

მიდი, მის კედლებს ეამბორე კრძალვით და რიდით,
ის არის შენი წარსულის და მომავლის ხიდი.
სადაც ხატებად ანთებულა წინაპართ კვალი,
იმ გზას მიჰყევი, იმ გზით იარ, იმ ღვთიურ ძალით.

შენი სიმაღლე, შენი ფრთები შენი ღვაწლია,
შენი ლხენაა შენი კერა, შენი ვარძია.
იდექ დარაჯად, იყავ ფხიზლად, იდექი მედგრად,
რომ საქართველოს შუბლს ჰკოცნიდე მუდამ ვით დედას...

გეთქვას: — შვილი ვარ მისი მთების — ცამდე აწვდილის,
მწამს სიყვარული მხოლოდ ერთი — მწარედ განცდილი.
უამსა ჭარიშხლის ეს კლდეები მეფუროს მკერდად
და ჩემი მიწის გული ძგერდეს ჩემ გულთან ერთად...

სიცოცხლე არის გამარჯვება წყვდიადზე ცისკრის,
დარდი, წუხილი, სიხარული შრომის და წინსვლის.
იგია თითქოს გაელვებით ციმციმი ლამპის,
უცებ ჩაქრობა და ფუსფუსი ახალი ზღაპრის.

სიცოცხლის ფესვი მარადია მაინც, ვით ზეცა
და თვით მარადის კანონია ყლორტების შეცვლა.
დასაბამიდან ასე მოდის საგანი განსჯის:
თვითონ ბუნება ბუნების შვილს ულმობლად რად სჯის?!

მაგრამ თუ ქვეყნად აღმოაჩნდა უველაფერს მცველი,
დაუძლეველი დარჩა მხოლოდ სიკვდილის ცელი.
და რადგან ასე მეორდება ჩვენდა წყენისად, —
იყავ მებრძოლი და ერთგული შენი რწმენისა.

თუ შენი სიტყვა საქმით იყო მუდამ მართალი,
თვითონ შენა ხარ მაშინ შენი ხსოვნის სარდალი.
ხარობდეს უველა — შენი მოდგმის ძე და ასული
და ღირსეული იყოს შენი გზის დასასრული.

1980 წ.

მალთაყვა.

ფიზკულტურა—ხალხის სამსახურში

საბჭოთა კავშირის მილიონობით ფიზკულტურელი მთელ ხალხთან ერთად 9 აგვისტოს აღნიშნავს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს.

ფიზკულტურელებისათვის მომდინარე წელი განსაკუთრებით აღსანიშნავია — ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, იგი პირველად ჩატარდა სოციალისტურ სახელმწიფოში, ჩვენი სამშობლოს. დედაქალაქ მოსკოვში. 16 დღეს გიზგიზებდა ოლიმპიური ცეცხლი ვ. ი. ლენინის ცენტრალურ სტადიონზე, სადაც ჩვენი პლანეტის 81 სახელმწიფოს წარმომადგენლები ერთმანეთს ეცილებოდნენ სპორტის 24 სახეობაში. საბჭოთა სპორტსმენთა წარმატება მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ბეშმარიტი დადასტურებაა იმისა, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას უთმობენ პარტია და მთავრობა ჩვენი ახალგაზრდა თაობის ჰარმონიულ განვითარებას. ეს კი ისევ და ისევ ჩვენი ჯანმრთელობის, ჩვენი სილაღის და სიძლიერის საწინდარია.

ამ ზრუნვის საპასუხოდ ჩვენი ქალაქის ფიზკულტურელებმა და სპორტსმენებმა ახალ-ახალი ზღუდეები უნდა დაძლიონ ქვეყნის სადიდებლად და საკეთილდღეოდ. ოსტატები, ჩემპიონები, რეკორდსმენები, თითქოს ესაა სპორტის უმაღლესი მიზანი, მაგრამ მთავარი მისი სოციალური მხარეა. საბჭოთა საზოგადოებაში ფიზიკური აღზრდა შემადგენელი ნაწილია კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემისა, რომ იგი სოციალური მოვლენაა და საზოგადოებრივი ცხოვრების კატეგორიაა. კარგი სპორტსმენი ჯანსაღი სულისა და სხეულის ადამიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქის შრომითი აქტიურობა გარანტირებულია.

ფოთელ სპორტსმენებს არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერიათ საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სპორტის განვითარების მატეანეში, ჩვენი ქალაქის წარმომადგენლებს არაერთხელ ღირსეულად დაუცავთ საბჭოთა სპორტის დროშა. საქართველოს, საბჭოთა კავშირის, ხალხთა სპარტაკიადის, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებით კანონიერად ამაყობენ ფოთელი მშრომელები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებების ცხოვრებაში პრაქტიკული განხორციელებისათვის X ხუთწლედის განვლილ პერიოდში ფოთის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა გარკვეული დადებითი მუშაობა გასწიეს ქალაქში ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის. როგორც ძირითადი მაჩვენებლები მოწმობენ, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებებმა და, უწუებებმა 1976-1979 წლებში გეგმით გათვალისწინებულ მაჩვენებლებს შესამჩნევად გადააჭარბეს. ასე მაგალითად, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 452 პირველთანრიგოსნისა, მოამზადეს 545, ნაცვლად 36 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატისა — 61, ნაცვლად 9 საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატისა — 12. ასევე გადაჭარბებით შესრულდა მოზარდ თანრიგოსანთა და „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ ნიშნოსანთა სახელმწიფო გეგმები.

აღნიშნული მიღწევებისათვის საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში, ასევე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და მასობრივი ფიზკულტურის განვითარების საქმის ორგანიზაციაში 1977-1979 წლებში გამარჯვებულად სცნო ფოთის ფიზკულტურის ორგანიზაცია და იგი დაჯილდოვდა საქართველოს სპორტკომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და სპორტული ინვენტარით.

ამჟამად ქ. ფოთში ფუნქციონირებს 7 სპორტული საზოგადოება: „სპარტაკი“, „განთიადი“, „ვოდნიკი“, „შრომითი რეზერვები“, „ლოკომოტივი“, „კოლმეურნე“, „დინამო“. აღნიშნულ საზოგადოებებში ფიზკულტურელთა ზრდამ X ხუთწლედის ოთხ წელიწადში 15 ათასიდან 18 ათას მიაღწია, მათ აღზრდას ემსახურება 90-მდე ფიზკულტურის მუშაკი, მათ შორის 64 უმაღლესი განათლებით, 1 საბჭოთა კავშირის და 4 საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

აღნიშნულ მწვრთნელთა და პედაგოგთა მუშაობის შედეგია, რომ საბჭოთა კავშირის 1979 წლის ხალხთა სპარტაკიადაზე ფოთელმა სპორტსმენებმა რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას 124 ქულა შესძინეს და „ქალაქთა კონკურსში“ ჩვენი ქვეყნის 75 საუკეთესო სპორტულ ქალაქს შორის ქ. ფოთი 50-ე ადგილზე გამოვიდა.

ასევე გადაჭარბებით სრულდება X ხუთწლედის დამამთავრებელი წლის სახელმწიფო გეგმები, რაც იძლევა იმის გარანტიას, რომ ფოთის ფიზკულტურული ორგანიზაციები პირნათლად შეასრულებენ ხუთწლედის დავალებებს.

მომდინარე წელს ფოთელმა სპორტსმენებმა არაერთხელ გამოსცადეს თავიანთი ძალები რესპუბლიკურ და საკავშირო პირველობებზე. მათ მიერ მოპოვებული წარმატებების საფუძველზე საქართველოს ნაკრებ გუნდებში, რომლებიც ემზადებიან 1981 წლის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისათვის, შეყვანილი არიან მოკრივეები, ცხენოსნები, კალათბურთელები, ხელბურთელები, იალქნოსნები, საბაიდარო და კანოით ნიჩბოსნები.

სპორტში მიღწევები თავისთავად როდი მოდის, არც ვინმეს მოაქვს იგი, როგორც ბედის ნაბოძვარი, მას ქმნიან სპორტსმენები, მწვრთნელები, ფიზკულტურული მუშაკები მათზე დაკისრებული მოვალეობის თავდაუზოგავი შრომის შედეგად.

ფიზკულტურის მუშაკები, პედაგოგები, მწვრთნელები ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს ქალაქში სპორტის განვითარებისათვის შესაძლებლობანი მთლიანად გამოყენებული არ არის, და რომ ფიზკულტურის მუშაკთა კადრები პირადი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებით ძალასა და ენერგიას არ დაზოგავენ ქალაქის სპორტის შემდგომი აღმავლობისათვის და ახალი მიღწევებით შეეგებებიან სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობებს.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ყველა დარგის მუშაკს, სპორტსმენს ვულოცავ ფიზკულტურის საკავშირო დღეს და ვუსურვებ ახალ-ახალ წარმატებებს ამ მეტად კეთილშობილურ საქმეში და პირად ცხოვრებაში.

ო. ხომერიკი,
ფიზკულტურისა და სპორტის ქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.



უკანასკნელ პერიოდში ჩვენს ქალაქში გამოცოცხლდა სპორტული მუშ... საზოგადოებები ახლა უფრო ხშირად აწყობენ შეჯიბრებებს სპორტის სხვად...
სურათზე: სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ (თავმჯდომარე თ. ბარ...

ტელევიზია

შაბათი, 9 აგვისტო

15.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.45 — „ცხოველთა სამყაროში“ (მ.), 16.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „გაუმარჯოს გულახდილობას“ (ფ.), 17.35 — ზესტაფონისა და ქარელის თვითმოქმედება (ფ.), 18.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის თასზე თბილისის „დინამო“-დონეცკის „შახტიორი“, ფინალი (მ.), 19.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მშვენიერი ხარ, ოლიმპიადავ!“. პრემიერა (მ.), 20.55 — მუსიკალური შესვენება, 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აგარაკზე“, 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.35 — „ლოდი საჯილდაო სიტყვისა“ — გიორგი შატბერაშვილი (ფ.).

კვირა, 10 აგვისტო

16.05 — „დღეს მშენებლის დღეა“ (მ.), 16.20 — სოფელ ლესიჭინეს თვითმოქმედება (ფ.), 17.15 — კინოაფიშა, 17.50 — ფ. წოპენის ნაწარმოებები, უკრავს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელისო ვირსალაძე (მ.), 18.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქვევრი“, 19.00 — „საერთა-

ინდექსი 33060
ფასი 3 კაპ.
ტირაჟი 884690. ფოთი ტელმანის ქ. №...
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა, პოლიგრაფიული ს...